



Tax Newsletter

June 2024

Public Ruling on VAT Taxation of Exchange (Barter) Transactions

On 7 June 2024, based on the analysis of existing practices by the tax authorities, the Minister of Finance of Georgia issued a public ruling regarding the VAT taxation of exchange (barter) transactions when the transaction involves the supply of immovable property.

The public decision highlights instances where payment for goods/services is partially made through the supply of goods/services and partially in cash. According to Georgian legislative norms, such a transaction is also considered a barter operation under this public ruling. For instance, if a person transfers a plot of land to another person in exchange for partial compensation through the delivery of a building constructed on that land and partially in cash, this is considered as a barter transaction.

The decision also addresses the taxable amount for the operation. If, according to the contract, an individual transfers a plot of land to an enterprise, and in return, the enterprise transfers a part of a building constructed on the same plot of land, the VAT taxable amount for this transaction by the enterprise should be determined by the market value of the land plot, excluding VAT. Additionally, if cash compensation is made by the taxable person in return for the received/receivable goods/services, the taxable amount should be reduced by the amount of cash compensation paid/payable by the taxable person.

Regarding the timing of the taxable operation, it is already known, the so-called advance payment taxation rule applies to exchange (barter) transactions for both cash and goods/services payments. It is important to note that this rule has been in effect since 1 January 2024 and does not apply to contracts concluded before 1 January 2024. Therefore, if according to an agreement concluded after 1 January 2024, an individual transfers a plot of land to an enterprise, and in return, the enterprise transfers part of a building constructed on the same plot of land, the corresponding VAT payment for the goods (land) received by the enterprise is made in the reporting period of the land plot delivery.

Moreover, in the case of partial cash compensation before the delivery of goods/service provision within a barter transaction, the corresponding VAT payment for the compensated amount is made according to the reporting period of the cash compensation.

This public ruling came into force on 10 June 2024.

Amendment to the Instruction on the Organization and Licensing of Gambling and Profitable Games

The order №996 of the Minister of Finance of Georgia, dated 31 December 2010 regulates the cases in which the Revenue Service issues permit for organizing gambling and profitable games. This includes permits for the organization of casinos, gaming machine salons, gambling clubs, bookmakers, lotteries, and promotional raffles.

As a result of the amendment, the list has been expanded to include permits for organizing casino games, gaming machine games, and bookmaker games in a systemic-electronic form. Additionally, templates for permits for the organization and provision of gambling and/or profitable games in a systemic-electronic form have been added to this article in the form of an annex.

The amendment came into force on 10 June 2024.

Fees and Rates for Services Provided by the Revenue Service

According to the above-discussed amendment, starting from 10 June 2024, the Revenue Service issues permits for the organization of casino games, gaming machines, and bookmaker games through systemic-electronic form. Consequently, fees and service terms for issuing permits for organizing the listed games in a systemic-electronic form have been established.

- Permits for organizing casino games and gaming machine games in a systemic-electronic form (including permits for organizing casino games in a systemic-electronic form based on a casino organization permit) are free if issued within 20 working days. The fee is 25,000 GEL for issuance within 10 working days and 30,000 GEL for issuance within 5 working days.
- Permits for organizing bookmaker games in systemic-electronic form are free if issued within 20 working days. The fee is 5,000 GEL for issuance within 10 working days and 10,000 GEL for issuance within 5 working days.

This amendment applies to relations arising from 1 June 2024.

Tax Obligations of a Person in the Dissolution Process

An amendment has been made to the order №996 of the Minister of Finance of Georgia, dated 31 December 2010, which now includes provisions related to the tax obligations of a person (dissolved company) in the dissolution process.



Andersen Georgia LLC
3 Lado Kavsadze street
0162 Tbilisi, Georgia
andersen.ge

შპს ანდერსენ ჯორჯია
ლადო კავსაძის ქუჩა 3
0162 თბილისი, საქართველო
andersen.ge

A person in the dissolution process (dissolved company) under the "Law of Georgia on Entrepreneurs" is required to submit a tax return/calculation to the tax authority, deregister cash register(s), The disposal of documents equivalent to a check, the closure of the last bank/payment account in financial institutions, the disposal of tax invoices in material form (including special tax invoices), the supply/disposal of immovable and movable property, including goods and materials in his possession/ownership, and the obligation to fulfill other obligations defined by the order of the Head of the Revenue Service.

This amendment came into effect on 27 June 2024.

This publication provides only general information, and it is not recommended to make decisions on specific cases based solely on this document. It is important that you consult a professional before making any decisions. Andersen in Georgia disclaims any liability for any loss resulting from actions taken or not taken by individuals relying on the information in this publication or making decisions based on it. In case you would like to discuss the issues addressed in this publication with relation to the specific circumstances relevant for you, please contact Andersen in Georgia.

George Svanadze, Ph.D., LL.M., MLB (Bucerius/WHU)

Managing Partner | Attorney-at-Law

george.svanadze@ge.andersen.com

Lasha Adamashvili, LLB, LL.M

Head of Tax and Advisory

lasha.adamashvili@ge.andersen.com

Giorgi Khanjaliashvili, LLB, LL.M

Tax Manager – Tax and Advisory

giorgi.khanjaliashvili@ge.andersen.com



საგადასახადო სიახლეები ივნისი 2024

საჯარო გადაწყვეტილება გაცვლის ოპერაციის დღგ-ით დაბეგრვის თაობაზე

2024 წლის 7 ივნისს, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთა დაბეგრვის არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე მიიღო საჯარო გადაწყვეტილება, რომელიც ეხება გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის დღგ-ით დაბეგრას, როდესაც ამ გარიგების ფარგლებში ხორციელდება უძრავი ნივთის მიწოდება.

საჯარო გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია შემთხვევა, როდესაც საქონლის/მომსახურების სანაცვლოდ ანაზღაურება, ნაწილობრივ საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით და ნაწილობრივ ფულით ხორციელდება. ქართულ საკანონმდებლო ნორმებზე დაყრდნობით, ამგვარ გარიგებასაც საჯარო გადაწყვეტილება ბარტერულ ოპერაციად განიხილავს. აღნიშნული ოპერაციის თვალსაჩინოებისთვის მაგალითის სახით მოყვანილია შემთხვევა, როდესაც პირი სხვა პირს საკუთრებაში გადასცემს მიწის ნაკვეთს, რისთვისაც ანაზღაურება ხორციელდება, ნაწილობრივ, ამავე მიწის ნაკვეთზე აშენებული შენობა-ნაგებობის მიწოდებით, ხოლო ნაწილობრივ – ფულადი სახით. მოცემულ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ხორციელდება საქონლის გაცვლის (ბარტერული) ოპერაცია.

გადაწყვეტილებაში საუბარია დასაბეგრი ოპერაციის თანხაზეც. თუ ხელშეკრულების მიხედვით, ფიზიკური პირი, საწარმოს საკუთრებაში გადასცემს მიწის ნაკვეთს, ხოლო სანაცვლოდ, საწარმოსგან საკუთრებაში იღებს ამავე მიწის ნაკვეთზე აშენებული შენობა-ნაგებობის ნაწილს, საწარმოს მიერ აღნიშნული ოპერაციის დღგ-ით დასაბეგრი თანხა უნდა განისაზღვროს მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასით დღგ-ის გარეშე. ამასთანავე, თუ მიღებული/მისაღები საქონლის/მომსახურების სანაცვლოდ დასაბეგრი პირის მიერ ხორციელდება ფულადი ანაზღაურებაც, დღგ-ით დასაბეგრი თანხის განსაზღვრისას, მისაღები საქონლის/მომსახურების ღირებულება უნდა შემცირდეს დასაბეგრი პირის მიერ ფულადი სახით გადახდილი/გადასახდელი ანაზღაურების ოდენობით.

რაც შეეხება დასაბეგრი ოპერაციის დროს, როგორც უკვე ცნობილია, ე.წ. ავანსის დაბეგრვის წესი ვრცელდება გაცვლის (ბარტერულ) ოპერაციებზეც როგორც ფულადი, ასევე საქონლის/მომსახურების სახით ანაზღაურების გადახდის ნაწილში. ამ ნაწილში გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული წესი ძალაშია 2024 წლის პირველი იანვრიდან და მისი მოქმედება არ გავრცელდება 2024 წლის პირველ იანვრამდე დადებულ ხელშეკრულებებზე. შესაბამისად, თუ 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ დადებული გარიგების მიხედვით, ფიზიკური პირი საწარმოს საკუთრებაში გადასცემს მიწის ნაკვეთს,

ხოლო სანაცვლოდ, საწარმოსგან საკუთრებაში იღებს ამავე მიწის ნაკვეთზე აშენებული შენობა-ნაგებობის ნაწილს, საწარმოს მიერ საქონლის (მიწის) სახით მიღებული ანაზღაურების შესაბამისი დღგ-ის გადახდა ხორციელდება, მისთვის მიწის ნაკვეთის მიწოდების საანგარიშო პერიოდში. ხოლო, 2024 წლის პირველ იანვრამდე დადებულ გარიგებებზე, ბარტერული ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრა ხორციელდება საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის მომენტში.

ამასთანავე, ბარტერული ოპერაციის ფარგლებში, საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე, თანხის ნაწილობრივ ანაზღაურების შემთხვევაში, ანაზღაურებული თანხის შესაბამისი დღგ-ის გადახდა ხორციელდება თანხის ანაზღაურების საანგარიშო პერიოდის მიხედვით.

საჯარო გადაწყვეტილება ამოქმედდა 2024 წლის 10 ივნისიდან.

ცვლილება აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობისა და ნებართვის გაცემის ინსტრუქციაში

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №996 არეგულირებს შემთხვევებს, როდესაც შემოსავლების სამსახური გასცემს ნებართვას აზარტულ და მომგებიანი თამაშობების მოწყობაზე, მათ შორის არის სამორინეს, სათამაშო აპარატების სალონის, აზარტული კლუბის, ტოტალიზატორის, ლოტოს, წამახალისებელი გათამაშების მოწყობის თაობაზე ნებართვა.

ცვლილების შედეგად, აღნიშნულ ჩამონათვალს შეემატა სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების, სათამაშო აპარატების თამაშობების, ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების ნებართვა. აღნიშნულ მუხლს ასევე დაემატა, სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ორგანიზებისა და აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების სანებართვო მოწმობების შაბლონები დანართის სახით.

ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 10 ივნისიდან.

სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურები და მათი განაკვეთების განსაზღვრა

ზემოთ განხილული ცვლილების თანახმად, 2024 წლის 10 ივნისიდან სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების, სათამაშო აპარატების, ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების ნებართვას გასცემს შემოსავლების სამსახური. შესაბამისად განისაზღვრა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობების მოწყობის ნებართვის გაცემისთვის ტარიფები და მომსახურების ვადები.

- სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზების და სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზების ნებართვის გაცემა (მათ შორის, სამორინის მოწყობის ნებართვის საფუძველზე, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზების

ნებართვის გაცემა) 20 სამუშაო დღეში უფასოა, 10 დღეში ტარიფი შეადგენს 25'000 ლარს, ხოლო 5 სამუშაო დღეში - 30'000 ლარს.

- სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების ნებართვის გაცემა 20 სამუშაო დღეში უფასოა, 10 სამუშაო დღეში ნებართვის გაცემის ტარიფი შეადგენს 5'000 ლარს, ხოლო 5 სამუშაო დღეში - 10'000 ლარს.

ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 1-ლი ივნისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

დაშლის პროცესში მყოფი პირის საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში, შევიდა ცვლილება და გაჩნდა ჩანაწერი, რომელიც ეხება დაშლის პროცესში მყოფი პირის საგადასახადო ვალდებულებებს.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაშლის პროცესში მყოფი პირი (დაშლილი საზოგადოება) ვალდებულია, განახორციელოს საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენა, საკონტროლო-სალარო აპარატ(ებ)ის რეგისტრაციიდან მოხსნა, ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტ(ებ)ის განაშთვა, ფინანსურ ინსტიტუტ(ებ)ში ბოლო საბანკო/საგადახდო ანგარიშის დახურვა, მატერიალური ფორმის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) განაშთვა, მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების, მათ შორის, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიწოდება/განაშთვა და ვალდებულია განახორციელოს შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები.

ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 27 ივნისიდან.

პუბლიკაციაში გთავაზობთ ზოგად ინფორმაციას და მხოლოდ მასზე დაყრდნობით კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება არ არის რეკომენდირებული. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე მნიშვნელოვანია მიიღოთ პროფესიონალის კონსულტაცია. ანდერსენ ჯორჯია არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი ზიანის გამო, რომელიც გამოწვეულია იმ ქმედებებით, რომლებიც განხორციელდა ან არ განხორციელდა ამ პუბლიკაციაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. თუ გსურთ ამ საკითხების განხილვა თქვენთვის რელევანტური კონკრეტული გარემოების კონტექსტში, გთხოვთ დაუკავშირდეთ ანდერსენ ჯორჯიას.

გიორგი სვანაძე, Ph.D., LL.M., MLB (Bucerius/WHU)

მმართველი პარტნიორი | ადვოკატი

george.svanadze@ge.andersen.com

ლაშა ადამაშვილი, LLB, LL.M

საგადასახადო და საკონსულტაციო პრაქტიკის ხელმძღვანელი

lasha.adamashvili@ge.andersen.com

გიორგი ხანჯალიაშვილი, LLB, LL.M

საგადასახადო მენეჯერი | ადვოკატი

giorgi.khanjaliashvili@ge.andersen.com